# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 235

„20" მაისი 2025 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩასთან მდებარე სამი უსახელო ჩიხისთვის, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩისთვის, II ქუჩისთვის და გრიგოლ ლორთქიფანიძის გასასვლელისთვის გრიგოლ ლორთქიფანიძის I შესახვევის, I, II, III, IV და V ჩიხების სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. სამგორის რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩასთან არსებულ ორ უსახელო ჩიხს მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის I და III ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩას მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის II ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
4. სამგორის რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს და მასთან არსებულ II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის IV ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
5. სამგორის რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის გასასვლელს მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის V ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
6. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
7. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე


1:1,738
X=490144 Y=4614213
გრიგოლ ლორთქიფანიძის I ჩიხი
X=490419 Y=4614031


1:2,500
X=491023 Y=4613973
X=490960 Y=4613974
X=491054 Y=4613971
X=490845 Y=4613921
III ჩიხი
IV ჩიხი
X=490805 Y=4613900
I შესახვევი
V ჩიხი
X=490969 Y=4613885
X=490841 Y=4613882
X=491022 Y=4613875
II ჩიხი
X=491048 Y=4613860
X=491031 Y=4613785